ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6686043

ნომერი: AR1986352

თარიღი : 25.08.2023

გაცემის თარიღი : 29.09.2023

გაცნობის თარიღი : 29.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ასათიანი , N10 , (ნაკვ.14/012);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს არტსტუდიო პროექტი კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 3 აპრილის №6398906 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 25 აგვისტოს №AR1986352 განცხადებით მომართა ქეთევან ფანცულაიამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 3 აპრილის №6398906 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 3 აპრილის №6398906 ბრძანებით, №01.10.15.014.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 3 აპრილიდან 2023 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 3 აპრილის №6398906 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 17362.4 კვ.მ-ის ნაცვლად 17358.8 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3114.4 კვ.მ-ის ნაცვლად 3150.5 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართობად 159.1 კვ.მ-ის ნაცვლად 154.0 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 1512.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1359.4 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 33402.7 კვ.მ-ის ნაცვლად 33277.3 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები და გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. აღსანიშნავია, რომ სპორტული მოედნის 533.8 კვ.მ. ფართობი, არ იანგარიშება საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობში და შესაბამისად, მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი იქნება არა 33277.3 კვ.მ, როგორც მოთხოვნის ტექსტშია დაფიქსირებული, არამედ 32743.5 კვ.მ. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ არქიტექტურული გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 3 აპრილის №6398906 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 3 აპრილის №6398906 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 17358.8 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 3150.5 კვ.მ., სასაწყობე ფართობად - 154.0 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 1359.4 კვ.მ., საერთო ფართობად - 32743.5 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 3 აპრილის №6398906 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 3 აპრილის №6398906 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 3 აპრილის №6398906 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.